

ბავშვის უფლებათა კონვენციის დამატებითი ოქმი შეიარაღებულ კონფლიქტში ბავშვთა მონაწილეობის შესახებ

წინამდებარე ოქმის მონაწილე სახელმწიფოები

დაიმედებულნი არიან რა ბავშვის უფლებათა კონვენციის მიმართ ფართო მხარდაჭერით, რომელიც ადასტურებს არსებულ საყოველთაო მხარდაჭერას ბავშვთა უფლებების ხელშეწყობისა და დაცვის მიმართ;

ხელახლა ადასტურებენ რა, რომ ბავშვები საჭიროებენ სპეციალურ დაცვას და მოუწოდებენ რა ბავშვთა მდგომარეობის მუდმივი გაუმჯობესებისაკენ დისკრიმინაციის გარეშე, ასევე მათი განვითარებისა და განათლებისაკენ მშვიდობისა და უსაფრთხოების პირობებში;

შემფოთებულნი არიან რა ბავშვებზე შეიარაღებული კონფლიქტის მავნე და ფართომასშტაბიანი გავლენისა და მისი გრძელვადიანი შედეგების გამო, რომლებიც ხელს უშლის სტაბილურ მშვიდობას, უსაფრთხოებასა და განვითარებას;

გმობენ რა ბავშვებზე შეტევებს შეიარაღებული კონფლიქტის სიტუაციებში და პირდაპირ თავდასხმებს საერთაშორისო სამართლით დაცულ ობიექტებზე, მათ შორის ისეთ ადგილებზე, სადაც ჩვეულებრივ ბავშვების დიდი რაოდენობა იმყოფება, როგორცაა სკოლები და საავადმყოფოები;

აღნიშნავენ რა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდების მიღებას და კერძოდ, ისეთ ქმედებათა სამხედრო დანაშაულად კვალიფიკაციას, რომლებიც მოიცავს 15 წლამდე ასაკის ბავშვთა სამხედრო სამსახურში გაწვევას, ან მათ მობილიზაციას, აგრეთვე მათ აქტიურ გამოყენებას საომარ მოქმედებებში როგორც საერთაშორისო, ისე არასაერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტებში;

თვლიან რა, ამდენად, რომ ბავშვის უფლებათა კონვენციით გათვალისწინებული უფლებების განხორციელების უფრო მეტი ხელშეწყობის მიზნით, აუცილებელია ბავშვთა დაცვის გაძლიერება შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილეობისაგან;

აღნიშნავენ რა, რომ ბავშვის უფლებათა კონვენციის 1-ლი მუხლი ადგენს, რომ კონვენციის მიზნებისათვის ბავშვად ითვლება 18 წლამდე ასაკის ყოველი ადამიანი გარდა იმ შემთხვევისა, როცა მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ბავშვი სრულწლოვანებას უფრო ადრეულ ასაკში აღწევს;

დარწმუნებულნი არიან რა, რომ კონვენციის დამატებითი ოქმი, რომელიც ზრდის ბავშვის შეიარაღებულ ძალებში შესაძლო გაწვევისა და მისი საომარ მოქმედებებში მონაწილეობის ასაკს, ეფექტურად შეუწყობს ხელს იმ პრინციპის განხორციელებას, რომ ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესი უნდა იყოს უპირატესი ყველა იმ ქმედებაში, რომელიც ბავშვს შეეხება;

აღნიშნავენ რა, რომ წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის ოცდამეექვსე საერთაშორისო კონფერენციამ, რომელიც 1995 წლის დეკემბერში შედგა, რეკომენდაცია გაუწია მათ შორის იმას, რომ კონფლიქტის მონაწილე მხარეებმა მიიღონ ყველა შესაძლო ზომა, რათა უზრუნველყონ, რომ 18 წლამდე ასაკის ბავშვებმა არ მიიღონ მონაწილეობა საომარ მოქმედებებში;

მიესალმებიან რა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ბავშვთა შრომის ყველაზე უარესი ფორმების აკრძალვისა და აღკვეთისათვის დაუყოვნებელი ქმედების შესახებ #182 კონვენციის ერთსულოვან მიღებას 1999 წლის ივნისში, რომელიც მათ შორის კრძალავს ბავშვთა იძულებით, ან სავალდებულო დაქირავებას შეიარაღებულ კონფლიქტში გამოყენების მიზნით;

განსაკუთრებული შემოფოტებით გამოხედავს რა ბავშვთა დაქირავებას, წვრთნასა და მათ გამოყენებას საომარ მოქმედებებში ქვეყნის საზღვრებს შიგნით და გარეთ იმ შეიარაღებული ჯგუფების მიერ, რომლებიც სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებს არ წარმოადგენენ და აღიარებენ რა იმ პირთა პასუხისმგებლობას, რომლებიც ქირაობენ, წვრთნიან და იყენებენ ბავშვებს ამ მიზნით;

შეახსენებენ რა შეიარაღებული კონფლიქტის მონაწილე თითოეული მხარეს ვალდებულებას დაიცვას საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმები;

ხაზს უსვამენ რა, რომ წინამდებარე ოქმი არ ზღუდავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში ასახულ მიზნებსა და პრინციპებს, მათ შორის 51-ე მუხლს და ჰუმანიტარული სამართლის შესაბამის ნორმებს;

ითვალისწინებენ რა, რომ მშვიდობისა და უსაფრთხოების პირობები, რომლებიც დამყარებულია წესდებაში ასახული მიზნებისა და პრინციპების მიმართ სრულ პატივისცემაზე, ასევე ადამიანის უფლებათა შესაბამისი აქტების დაცვაზე, წარმოადგენს ბავშვთა სრული დაცვისათვის აუცილებელ პირობას, განსაკუთრებით შეიარაღებული კონფლიქტებისა და უცხო ქვეყნის მიერ ოკუპაციის დროს;

აღიარებენ რა იმ ბავშვთა სპეციალურ საჭიროებებს, რომლებიც თავიანთი ეკონომიკური, ან სოციალური სტატუსის, ან სქესის გამო განსაკუთრებით დაუცველნი არიან წინამდებარე ოქმის საწინააღმდეგოდ საომარ მოქმედებებში გაწვევის, ან გამოყენების მიმართ;

მხედველობაში იღებენ რა ბავშვთა შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილეობის გამომწვევი ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური მიზეზების გათვალისწინების საჭიროებას;

დარწმუნებულნი არიან რა წინამდებარე ოქმის შესრულებისათვის ისევე, როგორც შეიარაღებული კონფლიქტით დაზარალებულ ბავშვთა ფიზიკური და ფსიქოლოგიური რეაბილიტაციისა და სოციალური ინტეგრაციისათვის საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერების აუცილებლობაში;

მისჯობებიან რა საზოგადოებისა და განსაკუთრებით ბავშვების და დაზარალებული ბავშვების მონაწილეობას ინფორმაციის გავრცელებასა და საგანმანათლებლო პროგრამებში, რომლებიც წინამდებარე ოქმის შესრულებას შეეხება;

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ყველა შესაძლო ზომას იმის უზრუნველსაყოფად, რომ თავიანთი შეიარაღებული ძალების 18 წლის ასაკს მიუღწეველმა წევრებმა არ მიიღონ უშუალო მონაწილეობა საომარ მოქმედებებში.

მუხლი 2

მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ 18 წლის ასაკს მიუღწეველი პირები არ იყვნენ გაწვეულნი სავალდებულო სამსახურში თავიანთი შეიარაღებულ ძალებში;

მუხლი 3

1. მონაწილე სახელმწიფოები გაზრდიან თავიანთ ეროვნულ შეიარაღებულ ძალებში ნებაყოფლობით გაწვევის მინიმალურ ასაკს ბავშვის უფლებათა კონვენციის 38-ე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ ასაკთან შედარებით, ამ მუხლში არსებული პრინციპების გათვალისწინებით და იმის აღიარებით, რომ კონვენციის თანახმად, 18 წლამდე ასაკის პირებს აქვთ სპეციალური დაცვის უფლება.

2. თითოეული მონაწილე სახელმწიფო წინამდებარე ოქმის რატიფიკაციის, ან მასთან მიერთებისთანავე წარადგენს სავალდებულო განაცხადს, რომელიც განსაზღვრავს მინიმალურ ასაკს, რომლის მიღწევასაც იგი დაუშვებს თავის ეროვნულ შეიარაღებულ ძალებში ნებაყოფლობით გაწვევას და რომელიც შეიცავს იმ გარანტიების აღწერას, რომლებიც მან მიიღო იმის უზრუნველსაყოფად, რომ ამგვარი გაწვევა არ განხორციელდეს ძალდატანებით, ან იძულებით.

3. ის მონაწილე სახელმწიფოები, რომლებიც უშვებენ 18 წლის ასაკს მიუღწეველ პირთა ნებაყოფლობით გაწვევას თავიანთ ეროვნულ შეიარაღებულ ძალებში, ადგენენ გარანტიებს როგორც მინიმუმ იმის უზრუნველსაყოფად, რომ:

(ა) ამგვარი გაწვევა იყოს ჭეშმარიტად ნებაყოფლობითი ხასიათისა;

(ბ) ამგვარი გაწვევა ხორციელდებოდეს პირის მშობლების, ან კანონიერ მეურვეთა/მზრუნველთა ინფორმირებული თანხმობით;

(გ) ამგვარი პირები სრულად იყვნენ ინფორმირებულნი იმ მოვალეობების შესახებ, რომლებიც სამხედრო სამსახურს უკავშირდება;

(დ) ამგვარმა პირებმა წარმოადგინონ თავიანთი ასაკის დამადასტურებელი მოწმობა ეროვნულ სამხედრო სამსახურში გაწვევამდე;

4. თითოეული მონაწილე სახელმწიფო უფლებამოსილია გააძლიეროს თავისი განაცხადი ნებისმიერ დროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისათვის შესაბამისი შეტყობინების წარდგენის გზით, რომელიც ამის შესახებ ყველა მონაწილე სახელმწიფოს აცნობებს. ამგვარი შეტყობინება ძალაში შედის გენერალური მდივნის მიერ მისი მიღების დღიდან.

5. წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა, ასაკის გაზრდასთან დაკავშირებით არ ვრცელდება მონაწილე სახელმწიფოების შეიარაღებული ძალების დაქვემდებარებაში არსებულ სკოლებზე, ბავშვის უფლებათა კონვენციის 28-ე და 29-ე მუხლების დაცვით.

მუხლი 4

1. შეიარაღებულ დაჯგუფებებს, რომლებიც არ წარმოადგენენ სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებს, არც ერთ შემთხვევაში არ აქვთ უფლება გაიწვიონ, ან გამოიყენონ საომარ მოქმედებებში 18 წლადე პირები.

2. მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ყველა შესაძლო ზომას ამგვარი გაწვევისა და გამოყენების პრევენციის მიზნით, მათ შორის საჭიროებისამებრ იღებენ სამართლებრივ ზომებს, რომლებიც აუცილებელია ამგვარი ქმედების აკრძალვისა და დანაშაულად ცნობისათვის.

3. წინამდებარე მუხლის გამოყენებას მოცემული ოქმის შესაბამისად, გავლენა არ ექნება შეიარაღებული კონფლიქტის რომელიმე მხარის სამართლებრივ სტატუსზე.

მუხლი 5

წინამდებარე ოქმის არც ერთი დებულება არ უნდა იქნეს ინტერპრეტირებული ისე, რომ გამორიცხოს მონაწილე სახელმწიფოს კანონმდებლობის, ან საერთაშორისო შეთანხმებების და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმები, რომლებიც მეტად უწყობს ხელს ბავშვის უფლებების რეალიზაციას.

მუხლი 6

1. თითოეული მონაწილე სახელმწიფო იღებს ყველა საჭირო სამართლებრივ, ადმინისტრაციულ და სხვა ზომას წინამდებარე ოქმის დებულებების ეფექტური განხორციელებისა და აღსრულებისათვის თავისი იურისდიქციის ფარგლებში.

2. მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას, რომ სათანადო საშუალებების გამოყენებით რაც შეიძლება ფართოდ გაავრცელებენ და გაუწევენ პროპაგანდას წინამდებარე ოქმის პრინციპებს და დებულებებს როგორც ზრდასრულთა, ისე ბავშვთა შორის.

3. მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ყველა შესაძლო ზომას იმის უზრუნველსაყოფად, რომ ყველა პირი, რომელიც თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში წინამდებარე ოქმის დარღვევით იქნა

გაწვეული, ან გამოყენებული, დემობილიზებულ იქნეს, ან სხვაგვარად გათავისუფლდეს სამსახურიდან. საჭიროებისამებრ, მონაწილე სახელმწიფოები აღმოუჩინენ ამ პირებს ყოველგვარ დახმარებას ფიზიკური და ფსიქოლოგიური გამოჯანმრთელებისა და სოციალური რეინტეგრაციისათვის.

მუხლი 7

1. მონაწილე სახელმწიფოები ითანამშრომლებენ წინამდებარე ოქმის შესრულებისას, მათ შორის წინამდებარე ოქმის საწინააღმდეგო ნებისმიერი ქმედების პრევენციისა და წინამდებარე ოქმის საწინააღმდეგო ქმედებებით დაზარალებულ პირთა რეაბილიტაციისა და სოციალური ინტეგრაციისას, მათ შორის ტექნიკური თანამშრომლობისა და ფინანსური დახმარების გზით. ამგვარი დახმარება და თანამშრომლობა განხორციელდება შესაბამის მონაწილე სახელმწიფოებთან და სათანადო საერთაშორისო ორგანიზაციებთან კონსულტაციით.

2. მონაწილე სახელმწიფოები, რომელთაც საამისო შესაძლებლობა აქვთ, გაუწივეთ ამგვარ დახმარებას არსებული მრავალმხრივი, ორმხრივი, ან სხვა პროგრამების საშუალებით, ან მათ შორის ნებაყოფლობითი ფონდის საშუალებით, რომელიც გენერალური ასამბლეის წესების შესაბამისად იქნა დაარსებული.

მუხლი 8

1. თითოეული მონაწილე სახელმწიფო წინამდებარე ოქმის ამ მონაწილე სახელმწიფოსათვის ძალაში შესვლიდან ორი წლის ვადაში ბავშვის უფლებათა კომიტეტს წარუდგენს ანგარიშს, რომელიც შეიცავს ყოვლისმომცველ ინფორმაციას იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც მან განახორციელა წინამდებარე ოქმის დებულებების შესრულების მიზნით, მათ შორის მონაწილეობისა და გაწვევის შესახებ დებულებების შესასრულებლად განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.

2. ყოვლისმომცველი ანგარიშის წარდგენის შემდეგ, თითოეული მონაწილე სახელმწიფო კონვენციის 44-ე მუხლის შესაბამისად, ბავშვის უფლებათა კომიტეტისათვის წარდგენილ ყველა ანგარიშში შეიტანს ნებისმიერ დამატებით ინფორმაციას ოქმის შესრულების შესახებ. ოქმის სხვა მონაწილე სახელმწიფოები ანგარიშს წარადგენენ ხუთ წელიწადში ერთხელ.

3. ბავშვის უფლებათა კომიტეტი უფლებამოსილია მონაწილე სახელმწიფოებს მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაცია, რომელიც წინამდებარე ოქმის განხორციელებას შეეხება.

მუხლი 9

1. წინამდებარე ოქმი ხელმოსაწერად ღიაა ნებისმიერი სახელმწიფოსთვის, რომელიც კონვენციის მონაწილეა, ან ხელი მოაწერა მას.

2. წინამდებარე ოქმი ექვემდებარება რატიფიკაციას და ღიაა მიერთებისათვის ნებისმიერი სახელმწიფოსათვის. რატიფიკაციის, ან მიერთების სიგელები უნდა წარედგინოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

3. გაეროს გენერალური მდივანი, როგორც კონვენციისა და ოქმის დეპოზიტარი აცნობებს კონვენციის მონაწილე და კონვენციის ხელისმომწერ ყველა სახელმწიფოს ყოველი დეკლარაციის შესახებ მე-13 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 10

1. წინამდებარე ოქმი ძალაში შედის მეათე სარატიფიკაციო სიგელის, ან მიერთების დოკუმენტის წარდგენიდან სამი თვის შემდეგ.

2. ნებისმიერი სახელმწიფოსათვის, რომელიც წინამდებარე ოქმის რატიფიცირებას მოახდენს, ან მიუერთდება მას მისი ძალაში შესვლის შემდეგ, ოქმი ძალაში შედის მისი სარატიფიკაციო სიგელის, ან მიერთების დოკუმენტის შესანახად გადაცემიდან ერთი თვის შემდეგ.

მუხლი 11

1. ნებისმიერ სახელმწიფოს აქვს წინამდებარე ოქმის ნებისმიერ დროს დენონსაციის უფლება

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისათვის წერილობითი შეტყობინების წარდგენის გზით, რომელმაც ამის შემდეგ უნდა აცნობოს კონვენციის მონაწილე სხვა სახელმწიფოებს და ყველა სახელმწიფოს, რომელმაც კონვენციას მოაწერა ხელი. დენონსაცია ძალაში შედის გენერალური მდივნის მიერ შეტყობინების მიღების დღიდან ერთი წლის შემდეგ. თუმცა, თუ ზემოაღნიშნული ერთი წლის გასვლის შემდეგ დენონსაციის განმარტებული მონაწილე სახელმწიფო შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილეობს, დენონსაცია ძალაში არ შევა მანამ, სანამ შეიარაღებული კონფლიქტი არ დასრულდება.

2. ამგვარი დენონსაცია არ იწვევს მონაწილე სახელმწიფოს განთავისუფლებას წინამდებარე ოქმით ნაკისრი ვალდებულებებისაგან ნებისმიერი იმ დანაშაულის მიმართ, რომელიც ჩადენილია დენონსაციის ძალაში შესვლამდე. ამასთანავე, ამგვარი დენონსაცია არც ერთ შემთხვევაში არ ზღუდავს ნებისმიერი საქმის მიმდინარე განხილვას, რომელიც ბავშვის უფლებათა კომიტეტის მიერ დენონსაციის ძალაში შესვლამდე უკვე განიხილებოდა.

მუხლი 12

1. ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს უფლება აქვს შესთავაზოს ცვლილება და წარუდგინოს იგი გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანს. შედეგად, გენერალურმა მდივანმა შეთავაზებული ცვლილება უნდა აცნობოს მონაწილე სახელმწიფოებს და სთხოვოს მათ მიუთითონ თანახმანი არიან, თუ არა მონაწილე სახელმწიფოთა კონფერენციის მოწვევაზე შეთავაზების განხილვისა და მასზე კენჭისყრის მიზნით. იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი შეტყობინების გაგზავნიდან ოთხი თვის ვადაში მონაწილე სახელმწიფოთაგან ერთი მესამედი მაინც მხარს უჭერს ამგვარ კონფერენციას, გენერალურმა მდივანმა უნდა მოიწვიოს კონფერენცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით. კონფერენციაზე დამსწრე და კენჭისყრაში მონაწილე სახელმწიფოთა ხმის უმრავლესობით მიღებული ნებისმიერი ცვლილება დასამტკიცებლად წარედგინება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეას.

2. წინამდებარე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად მიღებული ნებისმიერი ცვლილება ძალაში შედის გენერალური ასამბლეის მიერ დამტკიცებისა და მონაწილე სახელმწიფოთა ორი მესამედის მიღების შემდეგ.

3. ცვლილების ძალაში შესვლიდან, იგი სავალდებულოა იმ მონაწილე სახელმწიფოებისათვის, რომელთაც იგი მიიღეს, ხოლო დანარჩენი მონაწილე სახელმწიფოებისათვის სავალდებულო რჩება წინამდებარე ოქმი და ნებისმიერი ადრეული ცვლილება, რომელიც მათ მიიღეს.

მუხლი 13

1. წინამდებარე ოქმი, რომლის არაბულ, ჩინურ, ინგლისურ, ფრანგულ, რუსულ და ესპანურ ტექსტებს თანაბარი ძალა აქვთ, შესანახად გადაეცემა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის არქივს.

2. გაერთიანებული ერების გენერალური მდივანი წინამდებარე ოქმის დამოწმებულ ასლებს გადასცემს კონვენციის ყველა მონაწილე სახელმწიფოს და ყველა იმ სახელმწიფოს, რომელმაც ხელი მოაწერა კონვენციას.